



**Georgian National
Film Center**

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№2, 2012



ქონკურსები

მოკლემეტრაჟიანი ფილმების დაფინანსების ქონკურსი

2012 წლის მეორე კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოავლინა მიმდინარე წლის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები. კონკურსში სულ 16 პროექტი მონაწილეობდა. საექსპერტო კომისიის მიერ განხილვის შედეგად მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტებიდან გამარჯვებულად გამოცხადდა 3:

- “დეტონატორი” (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი).
- „კინო” (საპროდიუსერო კომპანია – სტუდია „რეალიტი“, რეჟისორი – უტა ბერია).
- „დინოლა” (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია 99“, რეჟისორი – მარიამ ხაჭვანი).

პროექტების სასცენარო განვითარების ქონკურსი

4 მაისს კი გამოცხადდა სცენარის განვითარების დაფინანსების კონკურსი, სადაც 31 პროექტი მონაწილეობს. ისინი განსახილველად საექსპერტო კომისიას გადაეცა.

ქინონარმოება



მიმდინარე კინოპროექტები


- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ალამდარი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინემა 24“, რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).



- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი – ზურა ქვირია, რეჟისორი – კოტე თაყაიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ინგლისურის მასწავლებელი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორები – ივანე არსენიშვილი, ნინო ორჯონიკიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ტოტალიტატორული ფსიქოზი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „გოგოლები“, რეჟისორი – კონსტანტინე ესაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „Matchhouse FILM“, რეჟისორი – ანა ციმინტია).
- წარმოების პერიოდშია ქართულ – სომხურ – ფრანგული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფარაჯანოვი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი“, რეჟისორები – ოლენა ფეტისოვა, სერჟ ავედიკიანი).
- წარმოების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი – ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორი – ზაზა რუსაძე).



- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი“ (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია“, რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი და მოყმე“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ზურა ქვაჩახია, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტრა ფილს“, რეჟისორი – გიორგი ბარაბაძე), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ბებო“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 Steps FILM“, რეჟისორი – სანდრო ქათამაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ალეთეა“, რეჟისორი – თინა გურჩიანი).



???



„ჩემი საბნის ნაკეცი“ – ზაზა რუსაძე



„ფარაჯანოვი“



„ფარაჯანოვი“



ფესტივალები

ქართული კინო ვისბადენის მე-12 კინოფესტივალის ფოკუსში

(18-24. 04. 2012) Filmfestival goEast, 12. Festival of Central and Eastern European Film, Wiesbaden

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფილმების ვისბადენის მე-12 კინოფესტივალის ფოკუსში წელს ქართული კინემატოგრაფი მოექცა. გერმანიის ქალაქ ვისბადენში ფესტივალზე დასასწრებად საქართველოდან გაემგზავრა დელეგაცია: ეროვნული კინოცენტრის დირექტორი და 6 ქართველი კინორეჟისორი.

ფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის - GoEAST Project Market-ის ფარგლებში თამარ ტატიშვილმა გამართა პრეზენტაცია კინოცენტრის საქმიანობის და პროექტების შესახებ.

ფესტივალის ფარგლებში, სხვადასხვა სექციაში ნაჩვენები იყო 13 ქართული ფილმი. მათ შორის, საკონკურსო პროგრამაში მოხვდა ნანა ჯანელიძის დოკუმენტური სურათი: „ნეტავ იქ თეატრი არის?!“. ამ ფილმმა ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა და პრიზიტ დაჯილდოვდა. თანამედროვე ქართული ფილმების გარდა, როგორებიცაა: თორნიკე ბზიავას „აპრილის სუსხი“, რუსუდან პირველის „სუსა“, სალომე ჯაშის „ბახმარო“, ლევან კოლუაშვილის „ქალები საქართველოდან“, დათო ჯანელიძის „ციცინათელეები“, გერმანელმა მაყურებელმა ნახა ქართული კინოკლასიკაც. 23 აპრილს ვისბადენში გაიმართა „ჩემი ბებია“-ს ჩვენება.

23 აპრილს, ფესტივალზე შედგა პანელ დისკუსია თემაზე: „ქართული კინო დღეს“, რომლის მოდერატორიც იყო Screen International-ის ცნობილი ჟურნალისტი და კინოკრიტიკოსი - მარტინ ბლენი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: თამარ ტატიშვილმა (კინოცენტრის დირექტორი), გაგა ჩხეიძე (თბილისის კინოფესტივალის დირექტორი) და რეჟისორებმა: სალომე ჯაშმა, გიორგი ოვაშვილმა, რუსუდან პირველმა, ზაზა რუსაძემ, ლევან კოლუაშვილმა.



საქართველო კინოზაფხობაზე (Marche du Film) 16-25 მაისი, 2012 კანის 65-ე კინოფესტივალის ფარგლებში

კანის კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ კინოზაფხობაზე Marche du Film ეროვნული კინოცენტრი წელს მეხუთედ წარდგა საქართველოს პავილიონით. პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი და სხვა წარმომადგენლები: სალომე სეფაშვილი, დავით ვაშაძე და ქეთი დანელია.

პავილიონში წარმოდგენილი იყო ბოლო პერიოდში წარმოებული ფილმების შესახებ ინფორმაცია კატალოგებისა და ტრეილერების სახით. საქართველოში კინოგადაღებებით დაინტერესებული სტუმრებისთვის კი წარმოდგენილი იყო დისკი - კინოს გზამკვლევი. საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი იყო ახალი ქართული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

წელს კანის ფესტივალზე ქართველი კინემატოგრაფისტები მონაწილეობდნენ ბაზრობის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ინდუსტრიულ სექციაში.

ლევან კოლუაშვილი, ზურა მაღალაშვილი, რუსუდან გლურჯიძე და თინათინ ყაჯრიშვილი მონაწილეობდნენ კინოზაფხობის ფარგლებში პროგრამა Producers Network-ში. ლევან კოლუაშვილმა ინდუსტრიულ სექციაში წარმოადგინა მხატვრული ფილმის ახალ პროექტი: „მელოტი ბიჭები“; თინათინ ყაჯრიშვილმა კი მისი ახალი პროექტი - „პატარძლები“. ზურა მაღალაშვილი და რუსუდან გლურჯიძე Producers Network -ში წარდგნენ პროექტით „სხვისი სახლი“. მათ ასევე გამართეს შეხვედრები ესპნელ და ფრანგ კოპროდიუსერებთან, სხვადასხვა ფესტივალთან და დისტრიბუტორთან ბოლოს გადაღებული ქართულ-ესპანურ-რუსულ-ფრანგული კოპროდუქციის „ჩაიკას“ თემაზე.

European Film Promotion-ის და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად, წელს პირველად, კანის ფესტივალზე, პროდიუსერთა პროგრამაში PRODUCERS ON THE MOVE ნომინირებული იყო ქართველი პროდიუსერი - ვლადიმერ კაჭარავა კინოპროექტით: „ოცი ნაბიჯი მიწის ქვეშ“.

18 მაისს საქართველოს პავილიონში გაიმართება მიღება (Happy Hour) უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით. საქართველოს პავილიონში გამართულ წვეულებას ესწრებოდნენ ესტონეთის, ხორვატიის, ლიტვის, სლოვაკეთის კინოცენტრების წარმომადგენლები, ევროპელი პროდისერები, კინოფესტივალებისა და კო-პროდუქციის ფორუმების წარმომადგენლები.

კანის კინოზაზრობის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის მიერ განხორციელებული შეხვედრების შედეგად კიდევ უფრო გამყარდა კონტაქტები ისეთ საერთაშორისო ფესტივალებთან, როგორებიც არის ბერლინის, ლოკარნოს, ვენეციის, მონრეალის, სარაევოს კინოფესტივალები.

საფრანგეთის კინოცენტრის პრეზიდენტს - ერიკ გარანდოსა და ეროვნული კინოცენტრის დირექტორს - თამარ ტატიშვილს შორის შეხვედრის შედეგად შედგა შეთანხმება განახლდეს სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება საფრანგეთსა და საქართველოს შორის კინემატოგრაფიული კოპროდუქციაზე. ხელშეკრულების დეტალებზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

ასევე შედგა მოლაპარაკებები ევროპული კინოაკადემიის ხელმძღვანელობასთან იმის შესახებ, რომ მომავალ წელს აკადემიის მმართველი საბჭო საქართველოში ჩატარდეს.

უკრაინის კინოფონდის დირექტორთან შეხვედრის შედეგად გამყარდა ქართული პროექტების დაფინანსების შესაძლებლობა უკრაინის კინოფონდიდან.

აჭარაში რეგიონალური კინოფონდის გაძლიერების მიზნით, გაიმართა შეხვედრები უცხოელ პარტნიორებთან, რომლებიც ჩაერთვებიან აჭარაში რეგიონალური ფონდის განვითარების მიზნით დაგეგმილ საქმიანობებში.

შედგა სამუშაო შეხვედრები EAVE-ს სწავლების ხელმძღვანელთან და რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენლებთან საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარების მიზნით.

უცხოელ პროდიუსრებთან შეხვედრის შედეგად მოხდა მათი დაინტერესება საქართველოში გადაღებების წარმოების მიზნით. ამ მხრივ აღასანიშნავია, რომ წლიდან წლამდე საქართველოში კინოწარმოებით დაინტერესებულ კინოსაპროდიუსერო კომპანიათა რიცხვი იზრდება. გამოიკვეთა რამდენიმე პროექტი, რომლის განხორციელება იგეგმება საქართველოში 2013/2014 წლებში.

სლოვაკეთის კინოცენტრის წარმომადგენელთან შეხვედრის შედეგად დაიგეგმა ქ. ბრატისლავაში ქართული კინოს კვირეულის მოწყობის დეტალები.



კანის ფესტივალის კრიტიკოსთა კვირეულის ხელმძღვანელთან - რემი ბონომთან შეხვედრის შედეგად კი გადაწყდა თბილისში ამ პროგრამის - კრიტიკოსთა კვირეულის ჩატარება და დაზუსტდა დეტალები. კვირეული რომელიც მოიცავს ფილმების ჩვენებებს და მასტერკლასებს თბილისში სექტემბერში გაიმართება.



ოქროს პეპელა – საბავშვო ფილმების ფესტივალი

საბავშვო ფილმების ფესტივალი „ოქროს პეპელა“ გაიხსნა 30 მაისს „ევროპულ სკოლაში.“ 31 მაისს გაიმართა არასაკონკურსო ფილმების ჩვენება, მასტერკლასები და ბავშვების შეხვედრა ცნობილ ქართველ რეჟისორთან - რეზო ჩხეიძესთან. 1 ივნისს გამოვლინდება გამარჯვებული ფილმები და გაიმართება დაჯილდოების ცერემონია.

ფესტივალი დაარსდა 2011 წლის 1 ივნისს – საქართველოში, თბილისში, კერძოდ “ევროპული სკოლის” სატელევიზიო სტუდიის ბაზაზე.

გამარჯვებულ ფილმებს გადაეცემა დიპლომი და გრანპრი “ოქროს პეპელა”, აგრეთვე დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფილმები. ეროვნულმა კინოცენტრმა სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა მე-6 საავტორო სკოლის მოსწავლეები საუკეთესო ანიმაციური დებიუტისთვის „მუნწი და ოქრო“ და თელავის სტუდიის „კინოგურმანის“ ბავშვები მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „ძალიან პატარა ამბავი“.



როგორც ბოშის ფონდის კოპროდუქციის პრიზი: შტუტგარტის ანიმაციის კოპროდუქციის ფორუმი 2012

ანიმაციური ფილმების შტუტგარტის საერთაშორისო ფესტივალთან არსებული ანიმაციის კოპროდუქციის ფორუმს და ეროვნულ კინოცენტრს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, ანიმაციის ფორუმისთვის შეირჩა 5 ქართველი მონაწილე: დათო კიკნაველიძე პროექტით „გენო“, გიორგი ივანიშვილი პროექტით „ნამდვილი ჯადოსნური ზღაპარი“, ნათია ნიკოლაშვილი პროექტით „ლილე“, სანდრო ქათამაშვილი და ვლადიმერ კაჭარავა პროექტით: „ვანო და ნიკო და ასანთი“.

წელს ფორუმზე ქართველი მონაწილეები პირველად წარდგნენ, საერთაშორისო ჟიურიში კი მიწვეული იყო ქართველი პროფესიონალი - ნანა სამანიშვილი.

ფორუმზე ნათია ნიკოლაშვილის და ვოვა კაჭარავას პროექტის წარდგენა საუკეთესოდ აღიარეს. (best pitching).

ქართველი კინემატოგრაფისტების ამ პროცესებში ჩართვა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და რობერტ ბოშის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

Film Print – მეოთხე ნომრის პრეზენტაცია

24 აპრილს, 17 საათზე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საპრეზენტაციო დარბაზში გაიმართება ჟურნალ Film Print-ის მეოთხე ნომრის პრეზენტაცია.

ახალი ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები: ლიკა ციხისელი და ნათია მეფარიშვილი.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. Film Print-ს ეროვნული კინოცენტრიკულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცემს.

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ.



Mini EAVE საქართველოში. სცენარის განვითარების ტრენინგ-პროგრამა

5-7 ივნისს, თბილისში, ეროვნული კინოცენტრისა და ევროპული აუდიოვიზუალური პლატფორმის EAVE-ს ორგანიზებით, გოეთეს ინსტიტუტში, სცენარის განვითარების ტრენინგ-პროგრამის - Mini EAVE-ს პირველი სემინარი ჩატარდა. პროექტის მხარდამჭერები არიან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და გოეთეს ინსტიტუტი.

ტრენინგ-პროგრამა შედგება ორი სემინარისა და ინტერნეტ-სესიებისგან.

Mini EAVE-ს პირველი სემინარი ჩატარეს გამოცდილი ექსპერტები: ჟაკ აკოტი (საფრანგეთი) კონსულტანტი სცენარის განვითარების დარგში და იანი ტილჟესი (ლუქსემბურგი), EAVE-ს ხელმძღვანელი სასწავლო დარგში / პროდიუსერების ტრენერი.

ტრენინგში მონაწილეობენ საერთაშორისო ჟიურის მიერ შეჩეული პროექტების ავტორები:



- 1) რუსუდან ჭყონია და თინათინ ჭყონია პროექტით „მზევ შინ შემოდიო“
- 2) ნანა ჯანელიძე და ეკატერინე ჯოჯუა პროექტით „სხვა სამოთხეში“
- 3) ლევან ფირცხალავა და მარი ჩაჩუა პროექტით „იდეალური ლამაზმანები“
- 4) უტა ბერია და ზაზა რუსაძე პროექტით „უარყოფითი რიცხვები“
- 5) ნენე კვინიკაძე და ქეთი მაჭავარიანი პროექტით „მალა აწეული ხელები“.



სარკმელი კინოსამყაროში – ფილმების ჩვენება ქუთაისში

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭრით, ხორციელდება პროექტი „სარკმელი კინოსამყაროში“, რომელიც გულისხმობს ფილმების ჩვენების და დისკუსიის ორგანიზებას ქუთაისში. პროექტის ავტორია - კინომცოდნე თეა გაბიძაშვილი. ჩვენებები ტარდება ასოციაცია „საქართველოს SOS-ბავშთა სოფლის“ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის - ესენი არიან ქუთაისში არსებული ბავშვთა სოფლის (8-წლიდან 16-მდე) და ახალგაზრდული სახლის (16-წლიდან 20-მდე) ასაკის 100-მდე წევრი. მათი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენებისთვის შერჩეულ იქნა ის ქართული ფილმები კინოკლასიკიდან, რომლებიც ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციას წარმოადგენენ, ესენია: თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“, მერაბ კოკოჩაშვილის „მიხა“, ელდარ შენგელიას „შერეკილები“. მე-5, ბოლო ჩვენება გაიმართება 7 ივლისს ქუთაისელი კინომოყვარულებისთვის. ნაჩვენები იქნება დათო ჯანელიძის ფილმი „ჯაყოს ხიზნები“ და სტუმრები შეხვდებიან რეჟისორს.



კირილ ტუშის დოკუმენტური ფილმის - ხოდორკოვსკის - თბილისური პრემიერა

5 აპრილს, 20 საათზე, კინოთეატრ ამირანში, გაიმართა 61-ე ბერლინალეს სენსაციად ქცეული დოკუმენტური ფილმის - „ხოდორკოვსკის“ სპეციალური ჩვენება. თბილისური პრემიერა ეროვნული კინოცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ჩვენებას დაესწრნენ ფილმის რეჟისორი - კირილ ტუში და პროდიუსერი - სიმონე ბაუმანი.

კირილ ტუშის გახმაურებული ფილმი ასახავს დრამას ხოდორკოვსკის ოდისეაზე, როგორ გახდა რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი ქვეყნის ყველაზე ცნობილი პატიმარი. „ხოდორკოვსკი“ პირველად 2011 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე პროგრამა „პანორამაში“ აჩვენეს.

ევროპის საბჭოს კინოფონდი „ევრიმაჟი“

ქართული რეჟისორის პროექტი 17 პროექტს შორის მოხვდა, რომელსაც ევრიმაჟიმაჟმა მხარი დაუჭირა

კოპენჰაგენში გამართულ ევრიმაჟის მმართველი საბჭოს 127-ე სხდომაზე 17 კინოპროექტი დაფინანსდა, მათ შორის ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია „ძმა“, რომლის რეჟისორები არიან თეონა მღვდელიძე გრენადე და ტერი გრენადე.

ევრიმაჟის მმართველ საბჭოში საქართველოს წარმომადგენს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი, რომელიც სამუშაო ჟგუფის წევრია და მონაწილეობა მიიღო 45 პროექტის გაანალიზებასა და შერჩევაში.

127-ე სხდომაზე ევრიმაჟის ფონდიდან 5 530 000 ევრო დაიხარჯა. ქართულ-ფრანგული პროექტისთვის გამოიყო 150 000 ევრო. დაფინანსებული პროექტების სიაში თეონა მღვდელიძე გრენადე მოხვდა ისეთ რეჟისორებთან ერთად, როგორებიც არიან ლარს ფონ ტრიერი, პაოლო სორენტინო და სხვები. დაფინანსება მოიპოვეს შემდეგმა ქვეყნებმა: ნორვეგია, დანია, ირლანდია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ალბანეთი, იტალია, გერმანია, ჩეხეთი, ესპანეთი, ლიტვა, თურქეთი.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ევროპის საბჭოს კინოს განვითარების და მხარდაჭერის ფონდის - ევრიმაჟის წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge